ცვლილება დამტკიცებულია
შპს უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური
საბჭოს სხდომაზე: ოქმი №11, 07.11.2024წ.

რექტორი, პროფესორი ________ მარინა ფირცხალავა

# სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები

შპს უნივერსიტეტ გეომედში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი განვითარება, მონიტორინგი, სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და პროგრამაში შემავალი ყველა კომპონენტის დაგეგმილ პერიოდულ მონიტორინგს. ხარისხის უწყვეტი სრულყოფის მექანიზმების განხორციელება ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მიმდინარე ეტაპის დადგენას და შემდეგ ეტაპზე ხარისხის ამაღლების სტრატეგიის განსაზღვრას.

უნივერსიტეტში წარმოებს სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების და საწარმოო პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლების გამოკითხვა. შემუშავებულია და დანერგილია კითხვარების ანალიზისა და ანალიზის შედეგების ეფექტური ელექტრონული მექანიზმი. გარდა კითხვარებისა, უნივერსიტეტი გამოკითხვის სხვა ფორმებსაც იყენებს, მაგალითად: შეხვედრები; წინადადებების ყუთი; ვებ–გვერდი; ელექტრონული ფოსტა; სოციალური ქსელები (Facebook). მონიტორინგის შედეგი არ ზღუდავს კანონმდებლობით უზრუნველყოფილ, სწავლისა და სწავლების აკადემიურ თავისუფლებას.

გარე ხარისხის შეფასება ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უნივერსიტეტის და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების პროცესში (ავტორიზაცია და აკრედიტაცია). უნივერსიტეტი განიხილავს და ასრულებს ექსპერტების და საბჭოების მიერ მოცემულ რეკომენდაციებს შემდგომში საუნივერსიტეტო სერვისების და პროგრამების სრულყოფის მიზნით.

სწავლების ხარისხის შიდა საუნივერსიტეტო შეფასების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ე.წ. PDCA ციკლს, რომელიც შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

P – Plan - დაგეგმე;
D – Do - განახორციელე;
C – Check - შეამოწმე;
A – Act - განავითარე (მოახდინე რეაგირება).

<u>დაგეგმე:</u>

- უნივერსიტეტის ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სასწავლო პროცესში

ეფექტური ჩართვა;

• დასაქმების ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის კვლევა დარგობრივ ჭრილში და შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაცია, ახალი პროგრამის დამატება;
• აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი;
• სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
• ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების შემუშავება პარტნიორ უნივერსიტეტებთან;
• ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში ჩართვა, როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის.

<u>განახორციელე:</u>

• სწავლების დონის ამაღლების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ კონკრეტული დავალების შესრულების შეფასებას და აკადემიური საბჭოსათვის წარდგენას წერილობითი სახით, შემდგომი რეაგირებისათვის;
• სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება, ანონიმური კითხვარის საშუალებით (დანართი №1. სტუდენტის მიერ ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი);
• სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასების კითხვარი (დანართი№2);
• სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და ადმინისტრაციული სერვისების მუშაობის შეფასება, ანონიმური კითხვარის საშუალებით (დანართი№3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასების კითხვარი);
• კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის და კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენების შეფასება, ანონიმური კითხვარის საშუალებით (დანართი №4. კურსდამთავრებულთა პროგრამის შეფასებისა და კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენების კითხვარი);
• დამსაქმებლის/კლინიკის მიერ კურდამთავრებულის შეფასება (დანართი№5. დამსაქმებლის/კლინიკის კითხვარი);
• მობილობაში მონაწილეთა კითხვარი (დანართი №6. მობილობით გადამსვლელთა კითხვარი);
• საბიბლიოთეკო ფონდის განახლების მიზნით მომხმარებელთა მიერ ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ციფრულ ფონდებში არარსებული რესურსის მოთხოვნის რეესტრის გახსნა (დანართი №7. მომხმარებელთა მიერ ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ციფრულ ფონდებში არარსებული რესურსის მოთხოვნის რეესტრი);
• უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში მონაწილეთა კითხვარი (დანართი №8)
• ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მიერ უნივერსიტეტის მენეჯმენტის შეფასების კითხვარი (დანართი №9)
• კითხვარი პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების დაგეგმვა/ჩატარების შესახებ (დანართი №10.1; 10.2)
• უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციაში მონაწილეთა კითხვარი (დანართი №11).
• სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის და საუნივერსიტეტო მენეჯმენტის შეფასება ყოველი სემესტრის მე-5 კვირას (დანართი №12).
• სილაბუსში გაწერილი, ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობებისათვის დამხმარე ტექნიკური საშუალებების გამოყენების მონიტორინგი. მეცადინეობებზე პერმანენტული დასწრებით;
• საკურაციო სასწავლო კურსების პერიოდული მონიტორინგი (№13);
• დამხმარე პერსონალის შეფასების კითხვარი (№14);

• საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის და რესურსების უწყვეტი შეფასებისა და განვითარების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შექმნის ინსტრუქციების შემუშავება;

• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველსემესტრულად, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, შუალედური და დასკვნითი შეფასების სტატისტიკური ანალიზის წარმოება და აკადემიური საბჭოსთვის წარდგენა წერილობითი სახით, რეაგირებისათვის;

• განხორციელდება ადგილობრივი და შრომითი ბაზრის ყოველწლიური სტატისტიკა დარგობრივ ჭრილში.

<u>შეამოწმე:</u>

• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სასწავლო სემესტრის ბოლოს, დავალების შესაბამისად, ამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ სწავლისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით შესრულებულ სამუშაოს.

• დანართების №1,2,3,9 გამოყენებით მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად, შემოწმდება სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხი;

• ყოველი სასწავლო სემესტრის ბოლოს, შემოწმდება დანართი №7-ში მოთხოვნილი წიგნების რესურსის არსებობა ბიბლიოთეკაში;

• მეცადინეობებზე პერმანენტული დასწრებით, შემოწმდება სილაბუსში გაწერილი ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკის სწავლებისა და დამხმარე ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობები;

• საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსის შეფასების კითხვარის გაანალიზებით, დადგინდება უარყოფითი, ან დადებითი შედეგის გამომწვევი მიზეზები, შემდგომი რეაგირების მიზნით;

• სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრის მიზნით, განხორციელდება შუალედური და დასკვნითი შეფასებების შემოწმება ყველა საგანში, გაკეთდება GPA სტატისტიკური ანალიზი

<u>განავითარე:</u>

მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

• განავითარებს ინოვაციურ მიდგომებს სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ საქმიანობაში;

• განახორციელებს მონიტორინგს პროფესიული ტრენინგების მოწყობაზე და დარგის საერთაშორისო ექსპერტების მოწვევაზე პროფესიული ზრდის მიზნით;

• კორპორატიული კულტურისა და კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის პრინციპების ჩამოყალიბების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად შესთავაზებს უნივერსიტეტის რექტორატს, ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, აკადემიურ, მოწვეულ და დამხამრე პერსონალს გასვლითი Team building-ღონისძიებების მოწყობას;

• განახორციელებს მონიტორინგს საბიბლიოთეკო ფონდის განახლდებაზე;

• განახორციელებს მონიტორინგს მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განახლდებაზე;

• განახორციელებს მონიტორინგს სტუდენტებისათვის, აუცილებელი დამატებითი კონსულტაციების დაგეგმვა/ჩატარებაზე შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების განხილვის მიზნით.

• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია/წინადადებებით, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომითი ბაზრის კვლევის საფუძველზე, მოთხოვნიდან გამომდინარე,

შემუშავდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამები;

- განახორციელებს მონიტორინგს, ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე, დარგობრივ ჭრილში, არსებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების მოდიფიკაციის პროცესის, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით.
- განახორციელებს მონიტორინგს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიების განახლება/გაფართოებაზე.

## სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგის სამუშაო გეგმა

დასახული ამოცანების შესასრულებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სამუშაო გეგმას, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოს და მონიტრინგის ვადებს.

| № | შესასრულებელი სამუშაო | მონიტორინგის ვადები |
|---|---|---|
| 1. | *სასწავლო ცხრილის შემოწმება. სასწავლო ცხრილის შესაბამისობის დადგენა საგანმანათლებლო პროგრამებთან. აკადემიური/მოწვეული პედაგოგების დატვირთვის მონიტორინგი დეკანებთან ერთად*<br>ცხრილის არარსებობის შემთხვევაში ეცნობოს შესაბამისი მიმართულებების დეკანებს, რომ სასწავლო ცხრილი სტუდენტებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმი-საწვდომი იყოს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. | სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირით ადრე) |
| 2. | *მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის), მდგომარეობის შემოწ-მება და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად*<br>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობის ან სასწავლო პროცესისთვის შეუსაბამო გარემოს შემთხვევაში ეცნობოს შესაბამის სამსახურს გამოსწორების მიზნით; | სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (სამი კვირით ადრე) |
| 3. | *პროფესიული უნარების ამაღლების მიზნით, პერსონალის ტრენინგების დაგეგმვა აქტუალური თემატიკიდან გამომდინარე, კითხვარების ანალიზის საფუძველზე (საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანე-ლებთან, ფაკულტეტების დეკანებთან, დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახურთან ერთად და ა.შ.) (კითხვარი№10.1 და 10.2)* | სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირით ადრე) |
| 4. | *საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის (სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, რაოდენობა, სილაბუსებთან შესაბამისობა) შემოწმება ბიბლიოთეკის დირექტორთან ერთად* | სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე |

| | | |
|---|---|---|
| | დაზიანებული, გამოუსადეგარი წიგნების ჩამოწერის და ახალი სახელმძღვანელოების შეძენის აუცილებლობის შესახებ ეცნობის შესაბამის სამსახურს;<br>დაკარგული სახელმძღვანელოების ნაცვლად ახალი სახელმძღვანე-ლოების შეძენის აუცილებლობის შესახებ ეცნობოს რექტორს. | (ორი კვირით ადრე) |
| 5. | *ვებ-გვერდის მუშაობის და ინფორმაციის განახლების შემოწმება შესაბამის პასუხისმგებელ პირთან ერთად*<br>ვებ-გვერდზე მოძველებული ან არასრული ინფორმაციის შემთხვევაში ხარვეზის გამოსწორების მიზნით ეცნობოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს. | სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (ერთი კვირით ადრე) |
| 6. | *საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, რომლებსაც უწევს აკრედიტაცია (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების და დამსაქმებლების ჩართულობითა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად* | |
| 7. | *საკურაციო სასწავლო კურსების პერიოდული მონიტორინგი (№13)* | თვეში ერთხელ |
| 8. | *სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის და საუნივერსიტეტო მენეჯმენტის შეფასება ყოველი სემესტრში (კითხვარი №12)* | სასწავლო წლის ორივე სემესტრის მე-5 კვირას |
| 9. | *შუალედური გამოცდების ცხრილის შედგენისა და გამოცდების ჩატარების მონიტორინგი დეკანატების წარმომადგენლების და საგამოცდო ცენტრის დახმარებით.* | სასწავლო წლის ორივე სემესტრი (VI-VII კვირა) |
| 10. | *სწავლების ხარისხის დადგენის მიზნით სასწავლო პროცესში ჩართული სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით (კითხვარი № 1)*<br>სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის ანონიმურობას. აკადემი-ური/მოწვეული პერსონალი პერსონალურად იღებს ინფორმაციას და იყენებს შეფასების შედეგებს შემდგომი განვითარებისათვის. | სასწავლო წლის ორივე სემესტრი (XI - XII კვირა) |
| 11. | *სტუდენტების მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასება (კითხვარი № 2)* | სასწავლო წლის ორივე სემესტრის ბოლოს (XI - XII კვირა) |
| 12. | *სწავლების ხარისხის დადგენის მიზნით აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო კურსების და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით (კითხვარი № 3)* | სასწავლო წლის ორივე სემესტრი (XI - XII კვირა) |
| 13. | *1. სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზი*<br>*2. შუალედური გამოცდების შედეგების მოსწრების ანალიზი* | სასწავლო წლის ორივე სემესტრი |

| | | |
|---|---|---|
| | 3. აკადემიური/მოწვეული პერსონალის ანონიმური გამოკითხვის ანალიზი<br>4. ადმინისტრაციის პერსონალის ანონიმური გამოკითხვის ანალიზი | (XI კვირა, XXI კვირა) |
| 14. | ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი | სასწავლო წლის ორივე სემესტრი<br>(XX - XXI კვირა) |
| 15. | საუნივერსიტეტო სერვისების სრულყოფის მიზნით სასწავლო სემესტრის დასრულებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს დამხმარე პერსონალის შეფასებას (დამხმარე პერსონალის შეფასების კითხვარი №14) | შემოდგომის სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ |
| 16. | კურსდამთავრებულთა პროგრამის შეფასებისა და კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენების კითხვარი (კითხვარი № 4) | სასწავლო წლის დასრულების შემდეგ |
| 17. | დამსაქმებლის/კლინიკის კითხვარი (კითხვარი № 5) | სასწავლო წლის დასრულების შემდეგ |
| 18. | საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი პროგრამის მიმდინარეობის პროცესში და პროგრამის დასრულებისას (დასრულების შემთხვევაში) | სასწავლო წლის დასრულების შემდეგ |
| 19. | მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დასკვნის გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აკადემიური საბჭოსთვის ანგარიშის წარდგენა განსახილველად. | სასწავლო წლის დასრულების შემდეგ |
| 20. | სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა (რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დეკანები, ფაკულტეტის საბჭოები) | სასწავლო წლის დასრულების შემდეგ |
| 21. | საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის სტატისტიკის ანალიზი | სასწავლო წლის დასრულების შემდეგ |
| 22. | მომავალი სასწავლო წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმის შედგენა, დასრულებული სასწავლო წლის ნაკლოვანებების და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების და მიღწეული შედეგების მონიტორინგის გათვალისწინებით. | სასწავლო წლის დასრულების შემდეგ |
| 23. | საუნივერსიტეტო სერვისების სრულყოფის მიზნით სასწავლო სემესტრის დასრულებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს დამხმარე პერსონალის შეფასებას (დამხმარე პერსონალის შეფასების კითხვარი №14) | გაზაფხულის სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ |

რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

მონიტორინგის, შეფასება-შემოწმებისა და ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებსა, რაც მიზნად

ისახავს უკუკავშირის მიღებას სასწავლო პროცესის სრულყოფისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ექვემდებარება განახლებას, რაც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებს, აგრეთვე ყოველწლიურად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყველა დაინტერესებულ მხარეებთან ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის/მექანიზმების გაანალიზებას, განახლებას (საჭიროების შემთხვევაში) და შეტანილი ცვლილებების აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებას.

## ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება

ხარისხიანი სწავლების უზრუნველსაყოფად მონიტორინგის, შეფასება-შემოწმებისა და ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავებული რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმის შესრულების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შესაფასებლად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს შემუშავებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, დინამიკის ცხრილი, სადაც ხარისხის უზრუნველოფის სამსახურსი მიერ შმუშავებული რეკომენდაციის მიხედვით შესრულებული სამუშაოს შეფასების დინამიკა არის ნაჩვენები, რეკომენდაციამდე და რეკომენდაციის შემდეგ.

| ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების დინამიკა | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლები | | | | | | | | | | |
| წწ | | | | | | წწ | | | | |
| მაჩვენებელი (კითხვარების ანალიზის შედეგები) | რეკომენდაციები | პასუხისმგებელი სტრუქტურა | შესრულების მექანიზმი | შედეგი | | მაჩვენებელი (კითხვარების ანალიზის შედეგები) | რეკომენდაციები | პასუხისმგებელი სტრუქტურა | შესრულების მექანიზმი | შედეგი |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |

დანართი № 1

სტუდენტის მიერ ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს ინტეგრირებული პროგრამის და სასწავლო კურსების ხარისხის შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია, სტუდენტებს ვთხოვთ იყვნენ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. სტუდენტთა პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში.

**სასწავლო პროგრამა/სემესტრი** ------------------------------------------------------------------------

**გავლილი/მიმდინარე სასწავლო კურსები** ----------------------------------------------------------------

| № | კითხვები | 1<br>არასოდეს<br>(0 ქულა) | 2<br>იშვიათად<br>(1 ქულა) | 3<br>ხშირად<br>(2 ქულა) | 4<br>ყოველთვის<br>(3ქულა) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გაცნობთ თუ არა ლექტორი სასწავლო კურსის სილაბუსს? | | | | |
| 2 | გაგაცნოთ თუ არა ლექტორმა სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო კურსის მიზნები, ამოცანები და შეფასების სისტემა? | | | | |
| 3 | გასაგებად ხსნის თუ არა ლექტორი თეორიულ მასალას? | | | | |
| 4 | თანხვედრია თუ არა ერთმანეთთან ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობები? | | | | |
| 5 | გიტარდებათ თუ არა ლექტორის მიერ კონსულტაციები სასწავლო კურსის ფარგლებში? | | | | |
| 6 | გიტარდებათ თუ არა ლექცია ინტერაქტიულ ფორმატში? | | | | |
| 7 | ობიექტურია თუ არა ლექტორი სტუდენტის შეფასებისას? | | | | |
| 8 | არის თუ არა ლექტორი სტუდენტების მიმართ კეთილგანწყობილი, თავაზიანი და ტაქტიანი? | | | | |
| 9 | გიტარდებათ თუ არა ლექციები სილაბუსის მიხედვით? | | | | |
| 10 | იგვიანებს თუ არა ლექტორი ლექცია/პრაქტიკულ მეცადინეობაზე? | | | | |
| 11 | აცდენს თუ არა ლექტორი ლექცია/პრაქტიკულ მეცადინეობას? | | | | |
| 12 | გთავაზობთ თუ არა ლექტორი სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობას? | | | | |

რა მოგწონთ თქვენს ლექტორში? ------------------------------------------------------------------------

რა არ მოგწონთ თქვენს ლექტორში? ----------------------------------------------------------------------

რა მოგწონთ ინტეგრირებულ პროგრამაში? (ეხება მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტს) ----------------------------

კმაყოფილი თუ არა კლინიკური/პრაქტიკული უნარების სწავლების დონით? -------------------------------------

კმაყოფილი ხართ თუ არა კლინიკური/პრაქტიკული უნარების შეფასების ფორმატით (მაგალითად: OSCE, მინი-კლინიკური გამოცდა, პრაქტიკის კომპონენტის შეფასება და ა.შ.) -------------------------------------

სასწავლო კურსის ფარგლებში ისურვებდით რაიმეს დამატებას? (თემა, ამოცანა, ქეისი და ა.შ.) თუ დიახ, მაშინ რომელში? ------------------------------------------------------------------------------------------

დანართი № 2

**სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასების კითხვარი**

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია, სტუდენტებს ვთხოვთ იყვნენ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. სტუდენტთა პასუხების ანალიზი შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში.

სასწავლო პროგრამა/სემესტრი ------------------------------------------------------------------------

რის დამატებას ისურვებდით სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? --------------------------------------------------

| № | კითხვები | 1<br>არასოდეს<br>(0 ქულა) | 2<br>იშვიათად<br>(1 ქულა) | 3<br>ხშირად<br>(2 ქულა) | 4<br>ყოველთვის<br>(3 ქულა) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | რამდენად ხელმისაწვდომია ინტერნეტ-რესურსის მომსახურება? | | | | |
| 2. | რამდენად ხარისხიანია ინტერნეტ-რესურსის მომსახურება? | | | | |
| 3. | აქვს თუ არა ხარვეზები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემას? | | | | |
| 4. | რამდენად გაკმაყოფილებთ ბიბლიოთეკის რესურსები და მომსახურება? | | | | |
| 5. | რამდენად შეესაბამება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებს? | | | | |
| 6. | რამდენად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვილი სივრცე? | | | | |
| 7. | რამდენად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზებით სარგებლობა? | | | | |
| 8. | რამდენად ხელმისაწვდომია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სამედიცინო პუნქტი? | | | | |
| 9. | რამდენად ასრულებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას? | | | | |
| 10. | რამდენად კვალიფიციურია სტუდენტთა სერვის-ცენტრის თანამშრომლების გაცემული პასუხები თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე? | | | | |
| 11. | რამდენად ადვილია ელექტრონული კომუნიკაცია დეკანატების და სტუდენტთა სერვის-ცენტრის თანამშრომლებთან? | | | | |
| 12. | რამდენად ადვილია ვერბალური კომუნიკაცია დეკანატის თანამშრომლებთან? | | | | |
| 13. | არსებობს თუ არა ენობრივი ბარიერი დეკანატების და სტუდენტთა სერვის-ცენტრის თანამშრომლებთან კომუნიკაციისას? | | | | |
| 14. | რამდენად ითვალისწინებს დეკანატი სტუდენტთა წინადადებებს და მოთხოვნებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ? | | | | |
| 15. | რამდენად აღჭურვილია აუდიტორიები თანამედროვე ტექნიკით სასწავლო პროცესის თანამედროვე მეთოდებით წარმართვისათვის? | | | | |
| 16. | რამდენად ეფექტურად ხორციელდება თქვენთვის ინფორმაციის მიწოდება? | | | | |

რის დამატებას ისურვებდით სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის? --------------------------------------------------

დანართი № 3

### აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასების კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტის სერვისების შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ვთხოვთ იყვნენ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროგრამის სრულყოფის, სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის.

სასწავლო პროგრამა ----------------------------------------------------------------------------------------

| № | კითხვები | 1 | 2 | 3 |
|---|---|---|---|---|
| | | დიახ (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) |
| 1. | მიიღეთ თუ არა მონაწილეობა პროგრამის შექმნაში? | | | |
| 2. | იყავით თუ არა დამოუკიდებელი სილაბუსის შედგენაში? | | | |
| 3. | რამდენად შეესაბამება სწავლის მოსალოდნელი შედეგები პროგრამის მიზანს? | | | |
| 4. | რამდენად შეესაბამება პროგრამის ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგები, მთელი პროგრამის სწავლის შედეგებს? | | | |
| 5. | არის, თუ არა, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკური? | | | |
| 6. | არის თუ არა, პროგრამაში გამოყენებული სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები სწორად შერჩეული და ხელ შემწყობი დასახული სწავლის შედეგების მიღწევაში? | | | |
| 7. | არის თუ არა, საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა საკმარისი? | | | |
| 8. | შეესაბამება თუ არა, ინფრაქსტრუქტურა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მიზნებს ? | | | |
| 9. | ხართ თუ არა, კმაყოფილი საბიბლიოთეკო რესურსით? | | | |
| 10. | ხართ თუ არა, კმაყოფილი ადმინისტრაციული სერვისებით? | | | |
| 11. | დამოუკიდებელი ხართ თუ არა სტუდენტთა შეფასებაში? | | | |
| 12. | ხართ თუ არა კმაყოფილი ინტერნეტ რესურსის მომსახურებით? | | | |
| 13. | რამდენად სრულყოფილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა? | | | |

თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დასახვეწად და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად? ---------------------------------------------------------------------------------------

**დანართი № 4**

## კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასებისა და კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენების კითხვარი

გამოკითხვის მიზანია შეისწავლოს, რამდენად დაეხმარა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარ-ჩვევები, კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებაში. გთხოვთ იყოთ შეფასებაში გულწრფელნი და ობიექტურნი, ანონიმურობა დაცულია.

სასწავლო პროგრამა ------------------------------------------------------------------------------------

| № | კითხვები | 1 | 2 | 3 |
|---|---|---|---|---|
| | | დიახ<br>(2 ქულა) | ნაწილობრივ<br>(1 ქულა) | არა<br>(0 ქულა) |
| 1. | კმაყოფილი ხართ თუ არა უნივერსიტეტში სწავლის ხარისხით? | | | |
| 2. | შეესაბამება, თუ არა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა, შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს? | | | |
| 3. | ხართ თუ არა კმაყოფილი უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის სწავლა/სწავლების, შეფასების მეთოდებით და მიდგომებით სტუდენტებისადმი? | | | |
| 4. | ხართ თუ არა კმაყოფილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიდგომებით სტუდენტებისადმი? | | | |
| 5. | ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენთვის შეთავაზებული სასწავლო კურსების მოცულობით და ხარისხით? | | | |
| 6. | ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენთვის შეთავაზებული სასწავლო კურსის პრაქტიკული კომპონენტების მოცულობით და ხარისხით? | | | |
| 7. | მიგაჩნიათ თუ არა რომ სწავლობდით ერთ-ერთ მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტში? | | | |
| 8. | გაგიჭირდათ თუ არა ადგილობრივ შრომით ბაზარზე დასაქმება? | | | |

რას შეცვლიდით უნივერსიტეტში? ----------------------------------------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

დანართი № 5

## დამსაქმებლის/კლინიკის კითხვარი (გარე კითხვარი)

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს დამსაქმებლის/კლინიკის მიერ კურსდამთავრებულის შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია. დამსაქმებლების პასუხების ანალიზი შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში.

| | კითხვები | დიახ (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) |
|---|---|---|---|---|
| 1. | რამდენად კონკურენტუნარიანია უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თქვენს ორგანიზაციაში დასასაქმებლად? | | | |
| 2. | ავლენს თუ არა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მის პოზიციაზე საკმარის თეორიულ ცოდნას? | | | |
| 3. | ავლენს თუ არა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მის პოზიციაზე საკმარის პრაქტიკულ ცოდნას? | | | |
| 4. | ავლენს თუ არა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მის პოზიციაზე საექიმო ეთიკის ცოდნას? | | | |
| 5. | ასრულებს თუ არა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მის პოზიციაზე დაკისრებულ მოვალეობას პასუხისმგებლობით და გუნდური მუშაობის პრინციპით? | | | |
| 6. | მიიღეთ თუ არა მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში/მოდიფიკაციაში? | | | |

სასწავლო პროგრამა ---------------------------------------------------------------------------------------------------

1. როდესაც იყვანთ სამსახურში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რამდენად სჭირდება მათ ადგილზე ტრენინგი და რა კუთხით?-----------------------------------------------------------------------------------------------
2. რა მოითხოვეთ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/მოდიფიკაციის პროცესში (რომელი კომპონენტის შეცვლა/ გაუმჯობესება)?-----------------------------------------------------------------------------------------------
3. რამდენად ხშირად და რა რეჟიმში მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები თქვენსა და უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციას შორის?-----------------------------------------------------------------------------------------------
4. რა უნარების გაძლიერებას მოითხოვდით უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისაგან? ---------------------------------
5. რა არის დასაქმების ძირითადი კრიტერიუმები? ----------------------------------------------------------------------

დანართი № 6

# მობილობით გადამსვლელთა კითხვარი

სტუდენტის სახელი და გვარი ------------------------------------------------------------------------------------------------

ფაკულტეტი: ------------------------------------------------------------------------------------------------

საგანმანათლებლო პროგრამა: ------------------------------------------------------------------------------------------------

მიუთითეთ თქვენი GPA: ------------------------------------------------------------------------------------------------

1) გაკმაყოფილებთ უნივერსიტეტში სწავლის ხარისხი?

   1. დიახ 2. არა

2) სტუდენტის შეფასება ობიექტურია?

   1. დიახ 2. არა

3) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე სწავლების მოთხოვნებს?

   1. დიახ 2. არა

4) საკონტაქტო საათები არასაკმარისია, რის გამოც მიჭირს თემატიკის ათვისება;

   1. დიახ 2. არა

5) ადმინისტრაციული პერსონალი არის მეგობრული და სტუდენტის მხარდაჭერაზე ორიენტირებული;

   1. დიახ 2. არა

6) სწავლის საფასური ადეკვატურია

   1. დიახ 2. არა

7) მიუთითეთ კონკრეტული მიზეზი თქვენი უნივერსიტეტიდან გადასვლის:

______________________________________________

______________________________________________

8) რა შემთხვევაში აღარ გადახვიდოდით ან დაბრუნდებოდით უნივერსიტეტში ?

______________________________________________

______________________________________________

დანართი № 7

მომხმარებელთა მიერ ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ციფრულ ფონდებში არარსებული რესურსის მოთხოვნის რეესტრი

| № | სახელი, გვარი, სტატუსი | ფაკულტეტი | სპეციალობა | დასახელება (წიგნი, ჟურნალი, ციფრული მატარებელი) | ავტორი (ები) | შენიშვნა/ დასაბუთება | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

დანართი № 8

უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში მონაწილეთა კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეთა მოსაზრებების ანალიზი, რაც შემდგომში გათვალისწინებული იქნება კონფერენციის დაგეგმვა/ორგანიზებაში

1. როგორ გაიგეთ კონფერენციის შესახებ? ----------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

2. რამდენად კარგად იყო ორგანიზებული კონფერენცია? ------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

3. რას შეცვლიდით სამომავლოდ კონფერენციის ორგანიზების და ადმინისტრირების ფორმატში? ------

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

4. მიიღეთ თუ არა უკუკავშირი აუდიტორიისგან?

დიახ არა

5. მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შემდეგ კონფერენციაში? ----------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

დანართი № 9

## ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მიერ უნივერსიტეტის მენეჯმენტის შეფასების კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მიერ უნივერსიტეტის მენეჯმენტის შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია, რესპოდენტებს ვთხოვთ იყვნენ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება უნივერსიტეტის მენეჯმენტის უკეთ წარმართვაში.

| № | კითხვები | დიახ (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) |
|---|---|---|---|---|
| 1. | შეესაბამება თუ არა სამუშაო გრაფიკი შრომით კოდექსით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვას? | | | |
| 2. | იზიარებთ თუ არა შიდა კორპორატიულ კულტურას (ქცევის ნორმებს, ტრადიციებს და სხვ.)? | | | |
| 3. | თანამშრომლებს შორის ურთიერთობა არის პროფესიონალური, გამართული კომუნიკაციით და თანამშრომლობის მაღალი ხარისხით | | | |
| 4. | კონფლიქტების მოგვარება ხდება კონსტრუქციული გზით | | | |
| 5. | თანამშრომლებს შორის არსებობს გუნდური მუშაობის სურვილი | | | |
| 6. | გაქვთ თუ არა კომფორტული სამუშაო გარემო და თქვენი სამუშაო სპეციფიკიდან აღჭურვილია ადექვატურად? | | | |
| 7. | გაქვთ თუ არა სტაბილურობის განცდა? | | | |
| 8. | არსებობს თუ არა ყველა პოზიციისათვის სამუშაო აღწერილობები, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას? | | | |
| 9. | არის თუ არა შესაბამისობაში თქვენი ანაზღაურება, სამუშაო დატვირთვა და სამუშაო პირობები? | | | |
| 10. | გამოიყენება თუ არა უნივერსიტეტში წახალისების, მოტივირების ფორმები? | | | |
| 11. | აქვთ თუ არა თანამშრომლებს პროფესიული ზრდის შესაძლებლობა? | | | |

რა უნარის გაძლიერებას ისურვებდით თქვენს პოზიციაზე ვალდებულებების უკეთესად შესრულებისათვის?

.....................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................

დანართი № 10.1

## კითხვარი პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების დაგეგმვა/ჩატარების შესახებ

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს პერსონალის გამოკითვა პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების დაგეგმვა/ჩატარების შესახებ. გამოკითხვა ანონიმურია, რესპოდენტებს ვთხოვთ იყვნენ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების დაგეგმვა/ჩატარებისთვის.

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეხმარათ თუ არა ჩატარებული ტრენინგები პროფესიულ განვითარებაში? | დიახ | | არა |
| გაკმაყოფილებთ თუ არა ტრენინგების თემატიკა? | დიახ | | არა |
| კმაყოფილი ხართ ჩატარებული ტრენინგების ადმინისტრირებით და ფორმატით? | დიახ | | არა |
| როგორ გეცნობებათ ტრენინგების ჩატარების შესახებ? | კორპორატიული მეილით | SMS (ტელეფონით) | უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დადებული ინფორმაციით |
| რის გაუმჯობესებას ისურვებდით ტრენინგების ჩატარების ადმინისტრირებაში? | | | |

დანართი № 10.2

| | | |
|---|---|---|
| მიიღებთ თუ არა მონაწილეობას უნივერსიტეტის მიერ პერსონალის განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში? | დიახ | არა |
| რა ტრენინგის, ვორქშოფის, სემინარის და ა.შ. ჩატარებას ისურვებდით პროფესიული და პერსონალური განვითარების კუთხით? | | |
| თუ არ ღებულობთ მონაწილეობას უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში, გთხოვთ განმარტოთ რატომ? | | |

დანართი № 11

## უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციაში მონაწილეთა კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეთა მოსაზრებების ანალიზი, რაც შემდგომში გათვალისწინებული იქნება კონფერენციის დაგეგმვა/ორგანიზებაში

1. როგორ გაიგეთ კონფერენციის შესახებ? ------------------------------------------------------------

   ------------------------------------------------------------------------------------------

2. ვინ დაგეხმარათ თემის შერჩევაში? ------------------------------------------------------------

   ------------------------------------------------------------------------------------------

3. რამდენად კარგად იყო ორგანიზებული კონფერენცია? ------------------------------------------------

   ------------------------------------------------------------------------------------------

4. რას შეცვლიდით სამომავლოდ კონფერენციის ორგანიზების და ადმინისტრირების ფორმატში? ----------

   ------------------------------------------------------------------------------------------

5. რამდენად კომპეტენტური და კეთილგანწყობილი იყო ჟიური? -----------------------------------------

   ------------------------------------------------------------------------------------------

6. მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შემდეგ კონფერენციაში? -------------------------------------------

   ------------------------------------------------------------------------------------------

დანართი №12

**სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის და საუნივერსიტეტო მენეჯმენტის შეფასება ყოველი სემესტრის მე-5 კვირას**

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი. გამოკითხვა ანონიმურია, სტუდენტებს ვთხოვთ იყვნენ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. სტუდენტთა პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში

1. რამდენად კმაყოფილი ხართ უნივერსიტეტის სერვისებით ? (ინტერნეტი, ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკის მომსახურეობა და სხვა) ----------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------

2. რამდენად კმაყოფილი ხართ საგამოცდო ცენტრის მომსახურებით? ----------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------

3. რამდენად კმაყოფილი ხართ დეკანატის თანამშრომლების მომსახურებით? ----------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------

4. კმაყოფილი ხართ თუ არა ლექტორების პროფესიონალიზმით? ----------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------

5. რამდენად საინტერესოა თქვენი სტუდენტური ცხოვრება? ----------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------

დანართი №13

## სტუდენტების მიერ კლინიკური როტაციების (კურაციის) შეფასება

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი. გამოკითხვა ანონიმურია, სტუდენტებს ვთხოვთ იყვნენ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. სტუდენტთა პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში.

1) გაკმაყოფილებთ თუ არა ფორმატი და ხარისხი კურაციული სწავლების?

კი არა

2) დღეში რამდენი საათი გიტარდებათ კურაციული სწავლება?

-----------------------------------------------------------------------------------------------------------

3) ხშირად გიცდენთ თუ არა ლექტორი კურაციას?

კი არა

4) ობიექტურია თუ არა ლექტორი სტუდენტის შეფასებისას?

კი არა

5) კმაყოფილი ხართ თუ არა სწავლის პრაქტიკული კომპონენტის მოცულობით?

კი არა

6) რას დაამატებდით სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად?

-----------------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------------------

დანართი №14

დამხმარე პერსონალის შეფასების კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს დამხმარე პერსონალის შეფასება. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება საუნივერსიტეტო მენეჯმენტის შემდგომში უკეთ წარმართვისა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში

სტრუქტურული ერთეული ______________________________

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ______________________________

დამხმარე პერსონალის სახელი, გვარი და პოზიცია ______________________________

______________________________________________________________

| № | შეფასების ინდიკატორები | 0-2 ქულა ფუნქცია/მოვალეობას ნაწილობრივ ასრულებს | 0-2 ქულა ფუნქცია/მოვალეობას მეტწილად ასრულებს | 0-2 ქულა ფუნქცია/მოვალეობას სრულად ასრულებს |
|---|---|---|---|---|
| 1 | გუნდური მუშაობა | | | |
| 2 | დროის მენეჯმენტი | | | |
| 3 | ფუნქცია/მოვალეობებისადმი კეთილსინდისიერი მიდგომა | | | |
| 4 | ფუნქცია/მოვალეობების შესრულება | | | |
| 5 | განვითარების პოტენციალი | | | |

0-5 ქულა - ფუნქცია/მოვალეობას ნაწილობრივ ასრულებს

6-8 ქულა -ფუნქცია/მოვალეობას მეტწილად ასრულებს

9-10 ქულა - ფუნქცია/მოვალეობას სრულად ასრულებს

**შენიშვნა:**

0-5 ქულის მიღების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იძლევა რეკომენდაციას საყვედურის გამოცხადების თაობაზე, ხოლო განმეორების შემთხვევაში დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფუნქცია/მოვალეობები ვერ შესრულდა ფორსმაჟორული რისკების გამო).

6-8 ქულის მიღების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იძლევა რეკომენდაციას ფუნქცია/მოვალეობების სრულყოფილად შესრულების თაობაზე, ხოლო განმეორების შემთხვევაში შენიშვნის მიცემის შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფუნქცია/მოვალეობები ვერ შესრულდა ფორსმაჟორული რისკების გამო).

9-10 ქულის მიღების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იძლევა რეკომენდაციას წახალისების თაობაზე, უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ფორმების შესაბამისად.